

ქ.თბილისი

2021 წლის 23 მარტი

სადისციპლინო კომისიის სხდომა ჩატარდა 2021 წლის 23 მარტს, ა.ა.ი.პ. „საქართველოს რაგბის კავშირი“-ს ოფისში.

სადისციპლინო კომისიის სხდომა მოწვეულ იქნა კომისიის თავმჯდომარის დავალებით, სადისციპლინო კომისიის წევრებისთვის შეტყობინებისა და დღის წესრიგის გაგზავნის გზით.

სხდომას ესწრებოდა კომისიის 5 წევრი. სრკ-ს სადისციპლინო კოდექსის მე-5 მუხლის 5.11. პუნქტის თანახმად, სხდომა გამოცხადდა გადაწყვეტილებაუნარიანად, ამის გამო არცერთ დამსწრე წევრს პრეტენზია არ გამოუთქვამს.

სხდომაზე დამსწრე კომისიის წევრები: მირიან თავზარაშვილი, ედუარდ ნაჭყებია, ვახტანგ სამხარაძე, აკაკი კერესელიძე, ირაკლი ჩიქავა.

სხდომას უძღვებოდა კომისიის თავმჯდომარე, მირიან თავზარაშვილი.

სადისციპლინო კომისიამ ზემოაღნიშნული შემადგენლობით, განიხილა მატჩის მეთვალყურის თ. სიხარულიძის ოქმი და მოწოდებული ინფორმაცია, მატჩის თანამსაჯის ი. ჯაფარიძის საითინგი, მოსმინა მარნეულის „არმაზი“-ს მწვრთნელის მიხეილ ლეკბორაშვილის პოზიცია, ამა წლის 18 მარტს, ჭაბუკთა „ბ“ ლიგის მატჩზე, მარნეულის „არმაზი“-სა და თბ „აკადემია“-ს შორის, მომხდარი ფაქტის შესახებ.

გ ა მ ო ა რ კ ვ ი ა :

1. მარნეულის „არმაზი“-ს მწვრთნელი მიხეილ ლეკბორაშვილი - მატჩის ოფიციალ პირთა გადაწყვეტილებებზე საჯაროდ აპელირება.

სადისციპლინო კომისიამ იხელმძღვანელა სრკ სადისციპლინო კოდექსის 2.1.2, სრკ სადისციპლინო კოდექსის დანართი # 1-ს 1.2 პუნქტებით და მიიღო შემდეგი

გ ა დ ა წ ყ ვ ე ტ ი ლ ე ბ ა

1. მარნეულის „არმაზი“-ს მწვრთნელი მ. ლეკბორაშვილი დისკვალიფიცირებული იქნას 2(ორი) სათამაშო კვირით, ხოლო კლუბი დაჯარიმდეს 300(სამასი) ლარით.
2. დისკვალიფიცირებული მწვრთნელის მიერ სრკ-ს სადისციპლინო კოდექსის 2.1.19 პუნქტის დარღვევის შემთხვევაში, მის მიმართ ამოქმედდება ამავე პუნქტით გათვალისწინებული სანქცია.
3. კლუბის მიერ ფულადი ჯარიმის 7 კალენდარული დღის ვადაში გადაუხდელობის შემთხვევაში ამოქმედდება სადისციპლინო კოდექსის დანართი №1-ის 1.2 პუნქტი და კლუბ მარნეულის „არმაზს“ ჭაბუკთა „ბ“ ლიგაში დააკლდება 3(სამი) საცხრილო ქულა.

